მომსახურების ხელშეკრულება №3

ქ. თბილისი

ერთი მხრივ **ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია** (ს/კ:241578574, მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ N1) წარმოდგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის (შემდგომში „დამკვეთი“) სახით და მეორე მხრივ **შპს „პირველი“** (ს/კ: 202353185, იურ. მისამართი: ქ. თბილისი, ზაურ ბოლქვაძის ქ. N3) წარმოდგენილი მისი დირექტორის ანი ჭუჭულაშვილის (შემდგომში „შემსრულებელი“) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს დამკვეთის სასარგებლოდ განახორციელოს შემდეგი მომსახურება, 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 18 იანვრის ჩათვლით:

- დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე www.pia.ge - თვის განმავლობაში 8-ჯერ.
- დამკვეთის მიერ მიწოდებული ანონსების განთავსება ვებ-გვერდზე www.pia.ge - თვის განმავლობაში 3-ჯერ.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება **200 (ორასი)** ლარის ოდენობით, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი) ლარი.

3.2 დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

3.3 მომსახურების შესრულებისა და დამკვეთის მიერ მისი მიღების ფაქტი დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 დამკვეთი უფლებამოსილია:

4.1.1 შემსრულებელს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

4.1.2 მოსთხოვოს შემსრულებელს, ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ყველა სახის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება.

4.1.3 ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და მოითხოვოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში.

4.2 დამკვეთი ვალდებულია:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით შემსრულებელს გადაუხადოს მომსახურების საფასური.

4.3 შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.3.1 დამკვეთს მოსთხოვოს გაწეული სამუშაოების მომსახურების ღირებულების, ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადაში გადახდა.

4.4. შემსრულებელი ვალდებულია:

4.4.1 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.4.2 დამკვეთს ან მის წარმომადგენელს მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია სამუშაოების ჩატარების პროცესში.

4.4.3 არ გაახმაუროს მეორე მხარის კონფიდენციალური კომერციული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

5. პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, დამრღვევი მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

5.2 შემსრულებელი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, დადგენილი ფორმატის შესაბამისად, დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არასრულად ან უხარისხოდ გაუწევს შემსრულებელს მომსახურებას, ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი არასაპატიო მიზეზით არ გამოასწორებს ხარვეზსს, დამკვეთს უფლება აქვს, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით ვალდებულების ღირებულების 0,02% (ნული მთელი ორი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3 დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის დაგვიანების შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს, დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის 0,02% (ნული მთელი ორი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

6.2 ყველა დამატება, ცვლილება ან შეთანხმება, რომლებზეც მხარეები ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიიღებენ გადაწყვეტილებას და წერილობით დაადასტურებენ მას, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. ფორს - მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა

საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.

7.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარიდასხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.

7.3 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.4 ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორსმაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

7.5 თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ კვირაზე მეტხანს, მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შემსრულებელს დამკვეთისგან ანიჭებს, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში გათვალისიწნებული ფუნქციების განხორციელების უფლებას.

8.2 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ მიიღწევა – მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

9. მხარეთა რეკვიზიტები

<u>დამკვეთი</u>
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ: 241578574

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი :
რ. სესიაშვილი

<u>შემსრულებელი</u>
შპს „პირველი“
ს/კ: 202353185
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა **GE14 TB72 7563 6020 1000 01**

დირექტორი :
ანი ჭუჭულაშვილი

Kvareli Municipality
Digitally signed by Kvareli Municipality
Date: 2021.01.18 15:50:00 +04'00'

LLC Pirveli
Digitally signed by LLC Pirveli
Date: 2021.01.18 15:43:34 +04'00'